სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

04 / სექტემბერი / 2025 წ.

KARR0183144842925

№ **22/5496**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (646 380 m^3/წელიწადში, 25 წლის ვადით, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის კორექტირებულ განცხადებას (ID_202119_63686, 02.05.2025 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი, ტოპოგრაფიული რუკა და Shape ფაილი თან ახლავს სკრინინგის კორექტირებულ განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (8 ჭაბურღილი) წარმოდგენილია ორ უბნად (I უბანზე წარმოდგენილია ექვსი ჭაბურღილი, ხოლო II უბნაზე ორი ჭაბურღილი და ერთი სატუმბი სადგური).

გეოსაინფორმაციო პაკეტის 2.5 პუნქტით გაწერილია დაშორება მნიშვნელოვან პუნქტსა და სალიცენზიო ობიექტს შორის. ქ. ახალციხიდან ვალეს სატუმბი სადგური დაშორებულია 8-9 კილომეტრით.

სალიცენზიო ობიექტების (ვალეს სატუმბი სადგური) აბსოლიტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 997-1001 მეტრს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

სალიცენზიო ობიექტები არ მდებარეობენ სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. Shape ფაილი.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად